(2011)

ევროპის პარლამენტის 2011 წლის 20 იანვრის რეზოლუცია ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკის შესახებ **(2010/2087(INI)**

ევროპის პარლამენტი,

(...)

ჟ. ვინაიდან საფრანგეთის საპრეზიდენტო მისიამ, წევრი სახელმწიფოების მოქმედებასთან ერთად, დაადასტურა ევროკავშირის ერთგულება საქართველოში კონფლიქტის მოგვარების მიმართ,

(…)

23. სჯერა, რომ ევროკავშირს შეუძლია და უნდა შეასრულოს უფრო აქტიური როლი შავი ზღვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების პროცესში; მოუწოდებს ევროკავშირს უფრო აქტიური ჩართვისკენ რეგიონის სტრატეგიულ დიალოგში, და თანამშრომლობისკენ უსაფრთხოების, კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების საკითხებში მის სტრატეგიულ პარტნიორებთან - საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად; ხაზგასმით მიუთითებს, რომ შავი ზღვის სტრატეგიის სრული განვითარება ასევე დაკავშირებულია მოუგვარებელი კონფლიქტების კონკრეტულ განვითარებასთან; აქედან გამომდინარე, ევროკავშირს მოუწოდებს უფრო აქტიურად ჩაერთოს და წამყვანი როლი შეასრულოს მოლაპარაკებების და სამშვიდობო პროცესებში, შეიმუშავოს ნდობის განმტკიცების ღონისძიებები და დახმარების პროგრამები, რომლებიც მოემსახურება საიმედო და სრულყოფილ დარეგულირებას, ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონფლიქტის შედეგების შემსუბუქებას; მიესალმება ევროკავშირის საზღვრის დახმარების მისიისა და ევროკავშირის მონიტორთა მისიის მუშაობას;

24. მოუწოდებს კავშირის ვიცე პრეზიდენტს/საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს იმუშაონ რუსეთთან, რათა ამ უკანასკნელმა დაიცვას სარკოზის ექვსპუნქტიანი გეგმა, რომელიც საართველოში კონფლიქტის სტაბილიზებასა და მოგვარებას ემსახურება.

(http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.)